Г. П. Б-ка

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ოქტომბრის 1 № 25 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

103. სახნავი მიწის დასაბეგრ შემადგენლობაში ამოშრობილი და ათვისებული ფართობების შეტანის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

104 საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს საქლაბორრეაქტივგასაღების სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის „მთავქიმგასაღების“ თბილისის კანტორისათვის გადაცემის შესახებ.

105. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს გამგებლობაში ცაიშის კირის ქარხნის გადაცემის შესახებ.

106. სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურებასთან საბრძოლველად სამეურნეო ანგარიშზე მომქმედი კანტორის მოწყობის შესახებ.

107. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სტრუქტურისა და შტატის შესახებ.

108. სანოტარო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

109. „საქფიქალის“ საწარმოსთან ფილაქნის საამქროს მოწყობის შესახებ.

110. სახურავი ფიქალის ახალი დიფერენცირებული გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ.

111. სახელმწიფო არბიტრაჟის ქუთაისის განყოფილების გაუქმების შესახებ.

112. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თიანეთის სატყეო სამრეწველო მეურნეობის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სახ. საქ. საბჭოთა
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

103. **სახნავი მიწის დასაბეგრ შემადგენლობაში ამოშრობილი და ათვისებული ფართობების შეტანის შესახებ.**

„ამომშრალ და ათვისებულ ჭაობებიდან სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების თაობაზე" (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 25, მუხ. 600) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1940 წლის 19 სექტემბერს გამოცემულ დადგენილების განსახორციელებლად, რითაც ნაწილობრივ იცვლება მუხ. 2 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის დადგენილებისა „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარებათა შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 9, მუხ. 236), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების გამოსაანგარიშებლად ამოშრობილი და ათვისებული ჭაობები შეიტანება სახნავი მიწის შემადგენლობაში ათვისების მესამე წელს, ხოლო ყოველგვარი დანარჩენი სახის ჩაბარების მიხედვით—ათვისების მეორე წელს.

2. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში საჭირო ცვლილება შეიტანოს საბოლოო ანგარიშებში და არაუგვიანეს 1940 წლის 10 ოქტომბრისა წარუდგინოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის
მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. შეროზია.

1940 წ. სექტემბრის 24 № 1905.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

104. საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს საქლაბორრეაქტივგასაღების სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის „მთავქიმგასაღების“ თბილისის კანტორისათვის გადაცემის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 28 ივნისის № 945 დადგენილებისა „ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში ქიმიური პროდუქციის გასაღების მთავარი სამმართველოს—„მთავქიმგასაღების ორგანიზაციის შესახებ“ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 7 ივნისის № 10—444 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს გადასცეს საქლაბორრეაქტივგასაღება „მთავქიმგასაღების“ თბილისის კანტორას მთელი პროდუქციით, ქონებით, შტატებითა და დაკავებული სადგომებით.

2. დაევალოს „მთავქიმგასაღების“ თბილისის კანტორას გადასცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს ორი საწყობი მუზეუმის ქუჩაზე იმ სადგომების ნაცვლად, რომლებიც ამჟამად საქლაბორრეაქტივგასაღებას უჭირავს.

3. დაეკისროს „მთავქიმგასაღების“ თბილისის კანტორას პასუხისმგებლობა, საქართველოს სსრ ჯანსახკომის სისტემის ყველა საწარმო და დაწესებულებათა დროზედ და სრულად მომარაგებისათვის ქიმიური რეაქტივებითა და ლაბორატორო მოწყობილობით ფონდების შესაბამისად, რისთვისაც „მთავქიმგასაღების“ თბილისის კანტორამ დასდოს ხელშეკრულება საქ. სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოსთან.

4. მიღება და ჩაბარება ჩატარდეს იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნას დაშვებული შეფერხება მომხმარებლებისათვის რეაქტივებისა და ლაბორატორულ მოწყობილობის მიწოდების საქმეში.

5. მიღება და ჩაბარება დამთავრდეს 1940 წლის 1 ოქტომბრისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 12. № 1792.

თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს გამგებლობაში ცაიშის კირის ქარხნის გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცაიშის კირის ქარხნის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს ეს ქარხანა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს 1940 წ. 1 ოქტომბრის ბალანსის მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს გააერთიანოს ცაიშის ცარცისა და კირის ქარხნები ერთ საწარმოდ და მიიღოს კონკრეტული ზომები კირის ქარხნის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1851.
თბილისი.

---

106. სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურებასთან საბრძოლველად სამეურნეო ანგარიშზე მომქმედი კანტორის მოწყობის შესახებ.

იმ მიზნით, რომ ოპერატიული დახმარება გაეწიოს სახალხო კომისარიატებსა და სხვა სახელმწიფო კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურების წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატთან სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურებასთან მებრძოლი კანტორა, რომელიც იმოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე და რომელსაც ექნება იურიდიული პირის უფლებები.

2. დაწესდეს, რომ მერქნის განადგურებასთან მებრძოლ კანტორას შემკვეთლებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ევალება:

ა) სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურებასთან ბრძოლის ოპერატიულ სამუშაოების წარმოება;

ბ) განსაკუთრებულ დავალებათა საფუძველზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მერქნის დაცვა ცალკეულ საწარმოებში, ახალ მშენებლობებზე და დიდ შენობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

ა) დაამტკიცოს სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურების წინააღმდეგ მებრძოლი კანტორის წესდება, აგრეთვე მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა ღირებულების კალკულაცია;

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან (ამხ. ციმაკურიძე) ერთად ხუთი დღის ვადაში შეადგინოს კანტორის შტატი მისი ხელფასის ფონდითა და ხარჯთაღრიცხვით, რაც დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სახელმწიფო რეგისტრაციაში გაატაროს სოკოებისა და მწერების მიერ მერქნის განადგურებასთან მებრძოლი კანტორა და დაამტკიცოს მისი აპარატის შტატი და ხელფასის განაკვეთები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1856.
თბილისი.

---

107. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სტრუქტურისა და შტატის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

I. ხელმძღვანელობა.

II. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველო, რომლის შემადგენლობაში შედის ინსპექტურა.

III. კადრების სამმართველო.

IV. უმაღლესი სკოლის სამმართველო.

V. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველო.

VI. სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

VII. მოზრდილთა განათლების სამმართველო.

VIII. კაპიტალური მშენებლობის სამმართველო.

IX. საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების სამმართველო.

X. საგეგმო-საფინანსო სამმართველო:

ა) საბიუჯეტო სექტორი.

ბ) საგეგმო-საღრიცხო სექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI. ცენტრალური ბუხჰალტერია.
XII. სპეცგანყოფილება.
XIII. საარქივო განყოფილება.
XIV. საქმეთა მმართველობა:

ა) კანცელარია
ბ) მემანქანეთა ბიურო
გ) სამეურნეო ნაწილი
დ) აპარატის ბუხჰალტერია.

2. ლიკვიდირებულ იქნას შემდეგი დამოუკიდებელი სამმართველოები:

ა) დაწყებითი სკოლისა და საშუალო სკოლის სამმართველოები, რაც გაერთიანებულ იქნას დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოდ.

ბ) საბიბლიოთეკო სამმართველო და საკლუბო სამმართველო, რომელნიც გაერთიანებულ იქნან პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოდ.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველოდან გამოყოფილ იქნას:

ა) დამოუკიდებელი ცენტრალური ბუხჰალტერია, რომელშიაც გაერთიანდეს უწყებრივი კონტროლის ჯგუფი;

ბ) სახალხო კომისარიატის ბუხჰალტერია, რომელიც საქმეთა მმართველს დაექვემდებაროს.

4. სასკოლო მშენებლობის სამმართველო გადაკეთდეს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოდ, რომელსაც დაეკისროს სკოლებისა და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობა და რემონტი.

5. დამტკიცდეს 1940 წლისათვის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შტატები, განაკვეთები და ხელფასის ფონდი, თანახმად დანართისა № 1.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 14 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 № 12, მუხ. 122; 1935 წ. № 7, მუხ. 40; № 28, მუხ. 173; 1936 წ. № 27, მუხ. 167).

ბ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ბავშვთა სათამაშოების კომიტეტის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 22 მაისის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 14, მუხ. 136).

გ) დებულება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 28 ივლისის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 30, მუხ. 231).

დ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 14 სექტემბრის დადგენილება „განათლების სახალხო კომისარიატის მასობრივი კულტურის განყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილების კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 25, მუხ. 146).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1858.
თბილისი.

---

108. სანოტარო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კანტორა თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორად.

აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკური სახელმწიფო სანოტარო კანტორები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სახელმწიფო სანოტარო კანტორა და საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებთან არსებული სანოტარო მაგიდები რეორგანიზებულ იქნან შესაბამისად—საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო-სანოტარო კანტორებად.

2. შენარჩუნებულ იქნას უფროსი ნოტარიუსის თანამდებობა თბილისის პირველ საქალაქო-სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, აგრეთვე ბათუმის, სოხუმის და სტალინირის საქალაქო-სახელმწიფო სანოტარო კანტორებში.

3. სახელმწიფო-სანოტარო კანტორების ქსელის დაწესება ევალება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს და აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრებს—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან შეთანხმებით. სახელმწიფო-სანოტარო კანტორების ქსელს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოები.

4. თბილისის პირველი საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორის, ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორების უფროს ნოტარიუსებს, აგრეთვე სხვა საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ნოტარიუსებს დანიშნავენ, დაითხოვენ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანენ საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრები და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფროსი—კუთვნილებისამებრ.

5. სანოტარო ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას ანხორციელებს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი.

№ 2/5
ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქალაქო და რაიონული სახელმწიფო სანოტარო კანტორები სანოტარო მოქმედებას ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შესაბამისად.

თბილისის პირველი საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორა, აგრეთვე ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ აგრეთვე სხვა სანოტარო მოქმედებას რაც სპეციალურად დაკისრებულია მათზე კანონით.

7. განთავისუფლდეს თბილისის პირველი საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორა, აგრეთვე ბათუმისა და სოხუმის საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორები სადირექტივო ფუნქციების (ინსტრუქტაჟი, რევიზია და კონტროლი) შესრულებისაგან და ამათთან დაკავშირებით, რეორგანიზებული სანოტარო კანტორებიდან რევიზორთა ორი საშტატო ერთეული გადასცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ნოტარიატის განყოფილებას და რევიზორთა თითო საშტატო ერთეული—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების ნოტარიატის განყოფილებებს, ამასთან გადატანილ იქნას მათ ხარჯთაღრიცხვებში სამივლინებო ხარჯების სათანადო წილი.

8. სანოტარო ორგანოების მთელი რეორგანიზაცია ამ დადგენილების საფუძველზე მოხდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სანოტარო ორგანოების ხაზით არსებული საშტატო კონტინგენტებისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში.

9. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი დებულებაში საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1928 წლის 19 ნოემბერს (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 16, მუხ. 157; საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 19, მუხ. 142);

ა) მუხ. 1 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. ამ დებულებით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ ქალაქებსა და სხვა დასახელებულ ადგილებში არსდება საქალაქო და რაიონული სახელმწიფო სანოტარო კანტორები, რომელთა ორგანიზაცია საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს ეკისრება.

სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელს აწესებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრები—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან შეთანხმებით და ამტკიცებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოები“;

ბ) მუხ. 3 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„3. საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო სანოტარო კანტორების სათავეში სდგას ნოტარიუსი, ხოლო თბილისის პირველ საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორის, ბათუმის, სოხუმის და სტალინირის საქალაქო სახელმწიფო სანოტარო კანტორების სათავეში სდგანან უფროსი ნოტარიუსები.

ნოტარიუსები, უფროსი ნოტარიუსები და მათი მოადგილეები, სადაც ეს თანამდებობა დაარსებულია, დაინიშნებიან იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც შეიძლება არჩეულ იქნან სახალხო მოსამართლეებად და რომლებმაც ჩააბარეს სპეციალური გამოცდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით დადგენილი წესით.

ნოტარიუსებს, უფროს ნოტარიუსებსა და მათს მოადგილეებს დანიშნავენ, გადაიყვანენ და დაითხოვენ საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, აფხაზეთის და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრები და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფროსი, კუთვნილებისამებრ;

გ) მუხ. 6 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6. სანოტარო ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას ანხორციელებს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი“;

დ) მუხ. 11 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„11. უკეთუ ნოტარიუსი წასულია სადმე, ავად არის ან სამსახურში არ იმყოფება, მის მოვალეობას განსაკუთრებული განკარგულების გარეშე ასრულებს მოადგილე ან თუ მოადგილე არ არის, — ის პირი, რომელიც ამ დადგენილების 3 მუხლის წესით დროებით დანიშნულია ნოტარიუსის მოვალეობის შესასრულებლად“.

10. პუნქტი 5 საქართველოს სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 26 ნოემბრის დადგენილებისა „სანოტარო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ“, (საქ. სსრ კან. კრ. 1937, № 19, მუხ. 142) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„5. სასოფლო საბჭოების ინსტრუქტირება მათ მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების დარგში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 7, მუხ. 64) დაეკისროს შესაბამისად — საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო სანოტარო კანტორების ნოტარიუსებს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ნოტარიატის განყოფილების საერთო ხელმძღვანელობით“.

11. გაუქმდეს საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 29 ივლისის დადგენილება „მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კანტორის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 13, მუხ. 97).

12. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს ერთი თვის ვადაში გადაამუშაოს მომქმედი დებულება სახელმწიფო ნოტარიატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, კერძოდ, გაითვალისწინოს ამ დებულებაში უფროსი ნოტარიუსების ფუნქციები და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1873.
თბილისი.

---

109. „საქფიქალის" საწარმოსთან ფილაქნის საამქროს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახურავი ფიქალის ნარჩენების გამოყენებისა და „საქფიქალის" საწარმოს რენტაბელობის გადიდების მიზნით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს (ამხ. ბუხნიკაშვილს):

ა) 1940 წლის 15 ოქტომბრამდე მოაწყოს და უზრუნველჰყოს ფილაქნის საცდელი საამქროს ამუშავება, რისთვისაც გამოიყენოს საქფიქალის არსებული მოწყობილობა და გამოჰყოს საჭირო სახსრები კაპიტალური მშენებლობის თავისი წლიური გეგმის ხარჯზე;

ბ) ინცობჰესის ამუშავებასთან დაკავშირებით, გაანთავისუფლოს საქფიქალის ყოფილი ელექტროსადგურის შენობა და გადააკეთოს იგი ფილაქნის საცდელ საამქროდ;

გ) 1940 წლის 1 ოქტომბრამდე მიიღოს ინცობჰესი და საქფიქალის მთელი საწარმო მის ელექტროენერგიაზე გადაიყვანოს;

დ) ფილაქნის საცდელი საამქროს მუშაობის შედეგებისა და სახურავი ფილების წარმოების მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების საფუძველზე, 1941 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს ფილაქნის საამქროს ტექნიკური პროექტი წელიწადში 20 ათას კვ. მეტრ ფილების გამომუშავების გათვალისწინებით.

2. ფილაქნის საამქროს წარმოების სწრაფად ათვისებისა და სათანადო კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად, დაევალოს საქმარმარილოს მმართველს მიავლინოს საქ. სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში ერთი მხეხავი და ერთი მეფრეზერე 2 თვის ვადით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს) 1941 წლის 1 კვარტალის გეგმაში გაითვალისწინოს 6 საფრეზერო და 7 სახეხი დაზგის დამზადება საქფიქალის ფილაქნის საამქროსათვის.

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ დაუთმოს აღნიშნული დაზგებისათვის სათანადო ელექტრომოტორები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1877.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110. სახურავი ფიქალის ახალი დიფერენცირებული გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ.

1. იმ მიზნით, რომ სტიმულირებულ იქნას დიდი ზომის და გაუმჯობესებული ხარისხის სახურავი ფილების გამოშვება საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქფიქალის საწარმოს მიერ, დამტკიცდეს 1940 წლის 1 ოქტომბრიდან კვადრატული მეტრის შემდეგი დიფერენცირებული გასაცემი ფასები ზომისა და ხარისხის მიხედვით.

	I ხარისხი	II ხარისხი
1. ფიქალის ფილები ზომით 500 × 350 მ/მ-დან 450 × 230-მდე	4 მან. 30 კაპ.	3 მან. 65 კაპ.
2. ფიქალის ფილები ზომით 400 × 300 მ/მ-დან 350 × 180-მდე	4 მან. 00 კაპ.	3 მან. 40 კაპ.
3. ფიქალის ფილები ზომით 300 × 250 მ/მ-დან 300 × 150-მდე	3 მან. 70 კაპ.	3 მან. 15 კაპ.
4. ფიქალის ფილები ზომით 250 × 200 მ/მ-დან 220 × 110-მდე	2 მან. 60 კაპ.	2 მან. 21 კაპ.

2. წინადადება მიეცეს საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით გააფორმოს თავისი წინადადებანი სახურავი ფიქალის საერთო-საკავშირო სტანდარტში დამატებათა შეტანის შესახებ (ოსტ 2929, 2930, 2931).

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სტანდარტიზაციის კომიტეტს:

ა) სახურავი ფიქალის გამოსავლის გადიდების მიზნით, კახეთის ფიქალის საწარმოს („საქფიქალი") ზომის არსებული სტანდარტის დამატებით ნება დართოს გამოუშვას ფილები ზომით 200 × 110 მ/მ.

ბ) უკეთესი ხარისხის ფიქალის ფილების გამოშვების სტიმულირებისათვის დააწესოს სახურავი ფიქალის სტანდარტში ორი ხარისხი—I და II ხარისხი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. 1878.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

111. სახელმწიფო არბიტრაჟის ქუთაისის განყოფილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1935 წლის 2 აგვისტოს დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 25, მუხ. 147) შესაცვლელად, გაუქმდეს 1940 წლის 1 ოქტომბრიდან საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ქუთაისის განყოფილება და ამ უკანასკნელის გაუქმების გამო საქმეთა განხილვა დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს.

2. გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შტატში 1940 წლის 1 ოქტომბრიდან დამატებით ერთი თანამდებობა უფროსი კონსულტანტისა თვეში 700 მანეთი ხელფასით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სახელმწიფო არბიტრაჟის ქუთაისის განყოფილების გაუქმებასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შტატში ერთი უფროსი კონსულტანტის თანამდებობის შემოღებით გამოწვეული ხარჯები 3.000 მანეთის რაოდენობით დაფაროს ქუთაისის საქალაქო საბჭოს 1940 წლის ბიუჯეტიდან აღნიშნული თანხის ამოღების საშუალებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მუხ. 3 პ. „ა"-დან, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 14 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 4, მუხ. 50; 1935 წ. № 25, მუხ. 146; 1938 № 12, მუხ. 49) ამოღებულ იქნას სიტყვები: „განყოფილებით ქ. ქუთაისში განსაზოგადოებული სექტორის იმ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი დავის განსახილველად, რომლებიც მდებარეობენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე".

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1863.
თბილისი.

---

112. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თიანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 საქმიანი ხე-ტყის დამზადების შეწყვეტასთან, შეშის დამზადების მოცულობის მნიშვნელოვნად შემცირებასთან და მიმდინარე წლის დაცურების ოპერაციების დამთავრებასთან დაკავშირებით—გაუქმდეს 1940 წ. 1 ოქტომბრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თიანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა.

2. თიანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ხაზით ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების შემდგომი ოპერაციების ჩატარება დაეკისროს თბილისის სატყეო მეურნეობას, რომელსაც გადაეცეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საუბნო აპარატი და საჭირო საშტატო ერთეულები სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა სამმართველოდან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დააწესოს თბილისის სატყეო მეურნეობის ხე-ტყის დამამზადებელი და დამცურებელი აპარატის საშტატო ცხრილი იმ კონტინგენტისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ტყის ექსპლოატაციის დარგში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 24. № 1897.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Ი·606/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

მარქსის სახ. საქ. სახელმწ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი, „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28

უე 11294. შეკვეთა № 1623. ტირაჟი 2000.

Соб. пост. распор. Правит. Груз ССР.